

ვენერულები ბიზნესის ინოვაციური განვითარების თანამედროვე ტენდენციები

რეზიუმე

აკაკი გვარუტსიძე
სტუ-ს ასოც. პროფესორი
E-mail.:a.gvarutsidze@gtu.ge

შესავალი

სამეცნიერო სტატიაში „ვენერული ბიზნესის ინოვაციური განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ განხილულია ვენერული კაპიტალის არსი და მისი ინოვაციური განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ვენერული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი და განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზაციის შემთხვევაში ვენერული კაპიტალი მისი მფლობელისათვის უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

განხილულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენერული ბიზნესის განვითარების საკითხებში, რომ ვენერულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალი ინფრასტრუქტურა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუტური-ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენერული ფირმები, რომელთა დეფიციტს საქართველო არ განიცდის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური, ვენერული, პროგრესული, ინვესტორი, კორპორაცია, საპაიო, ინტელექტუალური, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები.

ვენერული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი. იგი განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. ამ თავისებურებების გამო მას, არცთუ იშვიათად, „სარისკო კაპიტალსაც“ უწოდებენ. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზების შემთხვევაში ვენერულ კაპიტალს მისი მფლობელისათვის უფრო მაღალი მოგება მოაქვს. ვენერული ბიზნესის განვითარებას ხელი შეუწყო ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვამ, რაც გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმ რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს და ფირმამ მოგების ნაცვლად ზარალი ნახოს. იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკებს არ შეუძლიათ სარისკო პროექტების მასშტაბური დაფინანსება, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიზნით ბანკები ვენერულმა კომპანიებმა ჩაანაცვლეს.

პირითადი ტექსტი

ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ვენერული (სარისკო) კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს დაფინანსების ისეთ ფორმას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ვენერული კაპიტალის ფორმირება ხდება ინდივიდუალურ მეანაბრეთა, მსხვილი კორპორაციების, სამთავრობო უწყებების, სადაზღვევო კომპანიების, უნივერსიტეტების, მეცნიერულ-კვლევითი დაწეს

სებულებების, ბანკების, საპენსიო ფონდებისა და სხვა უწყებების კაპიტალის ბაზაზე.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე, ანუ კომერციალიზაციას. სამრეწველო და საბანკო კაპიტალისაგან განსხვავებით, ვენჩურული კაპიტალის თავისებურება ისაა, რომ მისმა ჩამდენებმა იციან, რომ შეიძლება იგი დაიკარგოს. ამიტომ ინვესტორები თანხების დაბანდებას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. დაფინანსება გრძელვადიანია და დიდია მოგების მიღების ვადა. ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს არა კრედიტს, არამედ საპაიო შესატანს – შემტანისათვის მოტივაციური ფაქტორია მომავალი მაღალი მოგება. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდი ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

ასეთ ბიზნესში მნიშვნელოვანწილად წვრილი და საშუალო საწარმოები (ფირმები) მონაწილეობენ, რომლებიც ძირითადად მეცნიერებატევად დარგებში ფუნქციონირებენ და მაღალპროფესიონალურ დონეზე ასრულებენ უახლესი ტექნოლოგიების, აგრეთვე, ნაწარმის ახალი ნიმუშების შექმნასა და წარმოებაში დანერგვასთან დაკავშირებულ მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ხასიათის სამუშაოებს.

ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. ამერიკული ვენჩურული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. აშშ-ზე პლანეტის ვენჩურული კაპიტალის დაახლოებით სამი მეოთხედი მოდის. 2010 წლისათვის მარტო აშშ-ში ფუნქციონირებდა 10 000 ვენჩურული ფირმა, რომელთაც 5000-მდე ფონდი აფინანსებდა, ხოლო ვენჩურული ბაზრის საერთო მოცულობამ 26 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ევროპულ ქვეყნებში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. მათი მოცულობა 10 მილიარდ დოლარს

არ აღემატება. ევროპაში ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

ინოვაციური მიზნები წარმოუდგენელია რისკის გარეშე. რისკი არის საშიშროება, სავარაუდო ზარალი ან ზიანი, რომელიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესურსების ნაწილი, ვერ მიიღოს დაგეგმილი მოგება ან გაუჩნდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველი შედეგის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ამერიკელი მეცნიერი ბ. ტეისი იმასაც ამტკიცებს, რომ ინოვაციურ ბიზნესში ლისკონტის განაკვეთად ბანკის პროცენტის გამოყენება და ამ დარგისათვის მისი ბაზად მიღება დაუშვებელია, რადგან ეს არის დარგი, სადაც წარმატების ალბათობა 10%-ია, რისკისა და დანაკარგის კი – 90%. ამავე აზრის არიან მედინსკი და სტრეკალოვი. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაბედული შემოქმედებითი არატრადიციული ქმედება, თავის მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს რისკის ალბათობას.

რისკი ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება განიმარტოს, როგორც ალბათობა ზარალისა, რომელიც მოსალოდნელია ორგანიზაციის მიერ სახსრების დაბანდებით ახალი პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და ძველის გაუმჯობესებაში, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებაში, ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვაში. ცხადია, ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ახალ პროდუქციასა და მომსახურებას ბაზარი არ მიიღებს, ან თუკი ინოვაციური მმართველობითი მეთოდები არ აღმოჩნდება ეფექტიანი. ხშირად კი რისკისათვის ჯილდო მეწარმის მიერ გამოუშვავებული მოგების ძირითადი ნაწილია, ე.ი. მეწარმე მოგების მისაღებად ეძებს წარმოების ორგანიზაციის მეთოდსა და ტექნოლოგიას, ამუშავებს ახალ საქონელსა

და მომსახურებას, ქმნის ახალ ბაზარს.¹

ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება წარმოიშვას წმინდა და სპეკულაციური რისკები. პირველი გულისხმობს ბიზნესში ისეთი ფაქტორების მოქმედებას, რომლის შედეგი აუცილებლად არის ზარალი და მათი გავლენის შეცვლა შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიური უბედურება, ხანძარი, პოლიტიკური კატაკლიზმები და სხვა. სპეკულაციური რისკები კი დაკავშირებულია მმართველობით გადაწყვეტილებებთან, რომელთა შედეგი შეიძლება იყოს როგორც ზარალი, ასევე – მოგება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

რისკი, რომელიც მოსალოდნელია ინოვაციური პროექტის არასწორად შერჩევის შემთხვევაში, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ფირმის ეკონომიკური და საბაზრო სტრატეგიის პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა, სამომხმარებლო ბაზრის არაადეკვატური შეფასება;

ინოვაციური პროექტის არასაკმარისი დაფინანსების რისკი, რომელიც გამოწვეულია დაფინანსების წყაროს არასწორი შერჩევით. აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროექტის დაფინანსების წყაროს შერჩევისას საწარმოს აქვს სამი შესაძლო არჩევანი: 1) პროექტის თვითდაფინანსება; 2) დაფინანსება გარე წყაროებიდან; 3) პირველი ორი ვარიანტის კომბინაცია;

მარკეტინგული რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო რესურსების მიწოდების შეფერხებასთან და ძირითადად განპირობებულია ტექნიკური თავისებურებებით. ხშირ შემთხვევაში, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა უნიკალური მოწყობილობები, მაღალხარისხიანი მაკომპლექტებლები, ან ისეთი მასალები, რომლებიც თავად მოითხოვენ დამუშავებასა და ათვისებას. ამიტომ ზოგჯერ საწარმოს წინაშე დგება პრობლემა, იპოვოს ისეთი მიმწოდებლები, რომლებიც შესძლებენ მის უზრუნველყოფას ამა თუ იმ უნიკალური რესურსით. ხოლო, როცა ასეთი მომწოდებ-

ბლები არ არსებობენ ადგილობრივ ბაზარზე. ფირმა იძულებულია ეძებოს ისინი საერთაშორისო ბაზარზე, რაც, ცხადია, განაპირობებს დამატებით ხარჯებს და წარმოშობს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ რისკებს;

ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის მარკეტინგული რისკი, რომელიც წარმოიშობა ბაზრის არასაკმარისი სეგმენტაციის გამო, როცა ახალ, მიმზიდველ, მაგრამ მაღალი ფასის მქონე საქონელს ვერ ყიდულობენ მომხმარებლები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა არასწორად არის შერჩეული მიზნობრივი ბაზრის სეგმენტი და რისკი წარმოიშობა შემდეგ სიტუაციებში: 1) თუ ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შერჩეული ბაზრის სეგმენტზე არასტაბილური აღმოჩნდება; 2) თუ არჩეულია ბაზრის ისეთი სეგმენტი, რომელზეც მოთხოვნა ინოვაციურ პროდუქტზე შეფასებულია არასწორად; 3) თუ გაყიდვებისთვის შერჩეულია ბაზრის სეგმენტი, რომელზეც ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნა შეზღუდულია;

კონკურენტებთან დაკავშირებული რისკი, რომლის წარმოშობის მიზეზებია: კონკურენტებზე არასრული ან არასარწმუნო ინფორმაციის ფლობა, სიახლეების დანერგვის უფრო ნელი ტემპები კონკურენტებთან შედარებით, კონკურენტების მხრიდან კონკურენციის არასწორი მეთოდებით წარმართვა, რაც ასახვას ჰპოვებს ბაზარზე სხვა მწარმოებლების გამოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა ანალოგიური პროდუქცია შესთავაზონ მომხმარებლებს;

ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებული საკუთრების უფლების უზრუნველყოფის რისკი, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, დაპატენტების პოლიტიკის საკითხებში დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება ნულამდე დაიყვანოს ფირმის მიერ სიახლის დანერგვით მიღებული კონკურენტული უპირატესობა. არსებობს რისკი იმისა, რომ გაჭიანურდეს პატენტის დარეგისტრირება, დაგვიანდეს ლიცენზიის მიღება დროულად გადაუხდელობის გამო, საპატენტო ორგანომ უარი თქვას პატენტის დამტკიცებაზე და შეაფერხოს

¹ ჩოჩოშვილი ს. ბიზნეს-გეგმის შედგენის მეთოდика, თბ., „ინტელექტი“, 2001, გვ. 50.

მისი გაცემა. გარდა აღნიშნულისა, მოსალოდნელია აგრეთვე პატენტის გაპროტესტების რისკი, რამაც შეიძლება ხშირ შემთხვევაში გამოიწვიოს საპატენტო უფლების გაუქმება;

საწარმო-ტექნოლოგიური რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საწარმოო წუნის, ხანძირს, ავარიის და სხვა შემთხვევაში;

რისკი, რომელიც დაკავშირებულია არასრულ და არახუსტ ინფორმაციასთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების პარამეტრების დინამიკის შესახებ;

გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნისა და შესაბამისად, მოგების შემცირების რისკი;

გარდა ზემოაღნიშნული რისკებისა, ინოვაციურ საქმიანობაზე გავლენას ახდენს ის რისკები, რომლებიც დამახასიათებელია ბიზნესის სხვა სფეროებისათვის:

ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი;

სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების რისკი;

საგარეო ეკონომიკური რისკი, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საქმიანობაში შეზღუდვების დაწესებასთან, საზღვრების დაკეტვასთან და სხვა;

ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული რისკები და სხვა.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას. იგი მოიცავს შემდეგ სტადიებს: სავარაუდოდ რისკის გამოფლენა, რისკის შეფასება, რისკის მართვის მეთოდის შერჩევა და მისი გამოყენებით მიღებული შედეგების შეფასება.

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქცევისტემისაგან: მართვადი ქცევისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქცევისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად. რისკის მართვის სისტემაში მართვის ობიექტს მიეკუთვნება: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება

და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა ისეთ მეურნე სუბიექტებს შორის, როგორცაა: მეწარმე და პარტნიორები, კრედიტორი და დებიტორი, დამზღვევი და მზღვეველი, კონკურენტები და ა.შ. რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტად კი მიჩნეულია ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მეწარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკ-მენეჯერი, დამზღვევის სპეციალისტი და სხვ.), რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახდენს გავლენას მართვის ამა თუ იმ ობიექტზე.

ბევრ ფირმაში შემოღებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახის რისკის შემცირება. რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქციაა დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებით დროული და კომპლექსური მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

რისკების განაწილების მეთოდი გულისხმობს თანაინვესტორთა მოძიებას, რათა მიღწეულ იქნას რისკების შემცირება მათი გადანაწილებით პროექტის მონაწილეობაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ რისკზე, კარგად უნდა ერკვეოდეს მის სპეციფიკაში, რათა გონივრულად შეაფასოს და აკონტროლოს იგი. ამასთან, იგი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი იმისათვის, რომ გაუძლოს რისკების სავარაუდო უარყოფით გავლენას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია თანაინვესტორთა ჯგუფი, მით ნაკლებია პროექტის შეჩერების ალბათობა ამა თუ იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო.

დივერსიფიკაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, ინვესტიციათა მრავალფეროვნების ხარჯზე შემცირებულ იქნას პორტფელური რისკები, რაც გულისხმობს ერთ საინვესტიციო პროტფელში რამდენიმე საინვესტიციო პროექტის გაერთიანებას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა პროექტის მომგებიანობის ერთდროული ცვლილება ერთი და იმავე მიმართულებით. რისკიანი ფინანსური აქ-

ტივებისაგან შემდგარი პროტფელეები შეიძლება ისეთნაირად იქნას ფორმირებული, რომ თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ერთ-ერთი პროექტი აღმოჩნდება წამგებიანი, სხვების მიერ მიღებულმა მოგებამ კომპანია გაკოტრებისგან გადაარჩინოს. დივერსიფიკაცია გულისხმობს ასევე, პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით ფირმის მიერ სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას;

დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და გულისხმობს რისკის სხვაზე გადაცემას გარკვეული გასამრჯელოს ფასად, რაც ნიშნავს ზარალის განაწილებას სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეთა შორის. დაზღვევის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ზარალისა თუ დანაკარგის ანაზღაურების მიზნით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში ფიზიკური და იურიდიული პირები დებენ თანხებს იმისათვის, რომ რისკით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში დაზღვევმა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია. კერძო სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს კომერციულ საწარმოს. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს, საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლოს ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შედგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯების, ლიკვიდურობისა და გადასახადებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას. მათ აქტუარები ეწოდება. ისინი ადგენენ სადაზღვევო ცხრილებს, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არიან სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული. აღსანიშნავია, რომ დაზღვევა გამოიყენება

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირთა დიდი რაოდენობა განიცდის ანალოგიურ რისკს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება გადაზღვევა, რომელიც გულისხმობს პირდაპირი მზღვეველის მიერ დაზღვეულისაგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვეველისთვის გადაცემას ისე, რომ ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნია. გადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ის გაკოტრებისაგან დაცულია. გადაზღვევის მიზანია რისკების განაწილების გზით დამზღვევის დაბალანსებული პროტფელის შექმნა, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა, ზეგავლენა პირდაპირი მზღვეველის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია გაუმჯობესებაზე, ლიკვიდური აქტივების შეთავაზება უშუალოდ მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დანაკარგის სწრაფი რეგულირებისათვის გადაზღვევის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიების რისკის ასაღებად საკმარისი ფინანსური თანხები არ გააჩნიათ. გადაზღვევა რეგულირდება ხელშეკრულების ფორმით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი სადაზღვევო კომპანია – „ცედენტი“ გადასცემს დასაზღვევად მიღებული რისკის ნაწილს სხვა კომპანიას – „ცესიონერს“. გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირ მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რომელშიც მოცემულია გადაზიდვების წესები და დებულებები.

რეზერვირება, რომლის დროსაც საწარმო ქმნის პეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) საბრუნავი საშუალებების ნაწილის ხარჯზე. იგი წარმოადგენს სარეზერვო ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას სამეურნეო სუბიექტში, ამიტომაც განიხილება, როგორც დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირება და ხშირად თვითდაზღვევას უწოდებენ. რეზერვირების შემთხვევაში აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა, ხოლო თუ დანაკარგებმა გადააჭარბა

დაგროვილ რეზერვს, რაც მოსალოდნელია დაუგეგმავი რისკის პირობებში, საწარმო უნდა გამოიყენოს მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები.

პეჯირება წარმოადგენს ბაზარზე არასასურველი ფასის კონიუნქტურის რისკის შემცირების ეფექტიან საშუალებას. ვადიანი კონტრაქტების დადებით მეწარმე თავს იცავს ბაზარზე ფასების რყევისაგან, რითაც ამცირებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების გაურკვევლობის დონეს.

ლიმიტირება გულისხმობს შეზღუდვის სისტემის გარკვეულ წესებს, რომლებიც გამოიყენება კაპიტალდაბანდებათა განსაზღვრის, საქონლის კრედიტში გაყიდვის, სესხის გაცე-

მის და სხვა შემთხვევაში, მისი საშუალებით ხდება ფულადი სახსრების ზღვრული დონის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ რისკის მინიმიზაციის მეთოდების კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია მეწარმისა და რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და ინოვაციური ფირმის შესაძლებლობაზე. ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ, რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა ინოვაციური პროექტის განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მიშენელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014.
2. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. ინოვაციების მენეჯმენტი, თბ., 2008.
3. გვარუცაძე ა. ინოვაციები ბიზნესში“, მონოგრაფია, თბ., 2012.
4. ლაზვიაშვილი ნ., „რისკმენეჯმენტი“, სახელმძღვანელო, თბ., 2010.
5. ჩიქავა ლ. „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ., 2005.
6. ცაავა გ. „ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება“, ჟურნ. „ინოვაციური ეკონომიკა“, №5, თბ., 2010.
7. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები. თბ., 2009.
8. გველესიანი რ. საერთაშორისო მეწარმეობის რისკები და სადაზღვევო ბიზნესის პრინციპები. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.
9. შენგელია თ. ინოვაციური პროცესები. პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. თბ., 1997.
10. Анишик М. и др. Инновационная деятельность, учебное пособие, МН. ВГУ, 2006.
11. Молчанов Н. Н. Инновационный процесс: организация и маркетинг, Санкт-Петербург, 2008.

Contemporary tendencies of venture business innovative development

Akaki Gvarutsidze

Professor of State Technical University

Summary

In this article „Contemporary tendencies of venture business innovative development“ there is reviewed the essence of venture capital and its contemporary tendencies of innovative development. The venture capital is invested capital in donor projects having high risks and belongs to the financing of innovative projects and associated with enough high risks. In case of the realization successfully of above mentioned investment project the venture capital for his owners is gold vascular which brings huge profit.

It is discussed the experience of USA and European countries in matters of development of venture business that the venture business contributed the transfer of leading countries of the world on post industrial phase of development. It is noticeable, that in Georgia this kind of business does not exist in fact, because we have not experience of work with new technologies and risk investments; also the financial infrastructure. It partially is conditioned, for confirming that institutional – organizational structures as in field of the science and techniques the State representatives, do not answer the modern requirements. It is necessary to elaborate the fund market, to create the venture firms, in which will be unified the experienced scientists, engineers, investors, innovative types, Georgia does not feel the deficit.

Key words: Innovative, Venture, Progressive, Investor, Corporation, Endend unit, Intellectual, Business-incubators, Techno parks.